ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. გ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.12.2015

საჩივრის რეგისტრაციის №091/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ უ. ქ-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 11 დეკემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. გ-მ და მოითხოვა ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მეგობარ გ. ც-თან ერთად დააარსა შპს „----“, რომელშიც საჩივრის ავტორის წილი 40% იყო. აღნიშნული შპს ორი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის

საშუალებით ქალაქ თბილისში ახორციელედბა ეკონომიკურ საქმიანობას. საჩივრის ავტორს პარტნიორმა გ. ც-მ, მოტყუებით, მის ძმასთან - ვ. ც-თან დაადებინა ჩუქების ხელშეკრულება და სანოტარო წესით გააფორმებინა წილი, თუმცა საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნულ წილზე რეგისტრირებული ყადაღის გამო შპს-ს წილი ვერ გადავიდა ვ. ც-ს საკუთრებაში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი მეგრობრის - ბ. კ-ს მეშვეობით, 2015 წლის აგვისტოს თვეში მიმართა ადვოკატ უ. ქ-ს, რომელსაც შეუთანხმდა, რომ გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას, დაეხმარებოდა ბიზნეს პარტნიორთან დავის მოგვარებაში.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატს უნდა შეესრულებინა შუამავლის ფუნქცია, წარმოედგინა ის გ. ც-თან ურთიერთობაში და დახმარებოდა საჩივრის ავტორს მის სასარგებლოდ შპს-ში გ. ც-ს 60% წილის დათმობის პროცესში, აგრეთვე დახმარებოდა საჩივრის ავტორს მოგების გადასახადის გადახდაში, რომელიც გ. ც-ს უნდა გადაეხადა და შპს-ს საწესდებო კაპიტალის დაბრუნებაში. საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების სახით, მხარეები წერილობით შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი უ. ქ მიიღებდა საჩივრის ავტორის კუთვნილი წილიდან 50%-ს, მას შემდეგ, რაც გახდებოდა შპს-ს 100%-იანი წილის მესაკუთრე.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი უ. ქ შეხვდა ვახტანგ და გიორგი ცხადაიებს და განუმარტა, რომ თუკი არ შეთახმდებონდენ მხარეები ის დაიწყებდა სისხლის სამართლებრივი დევნის პროცედურას მათ წინააღმდეგ, რის შემდეგაც ვ. და გ. ც-მა განაცხადეს თანხმობა წილის დათმობაზე.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ნოტარიული წესით დამოწმდა შეთანხმების პირობები, რაც ეხებოდა გ. ც-ს მიერ საჩივრის ავტორის სასარგებლოდ წილის დათმობას შპს-ს ერთ-ერთ ობიექტზე. ადვოკატმა უ. ქ-მ მხოლოდ სიტყვიერი მოლაპარაკების საფუძველზე დაითანხმა გ. ც, რომ ის საჩივრის ავტორს გადასცემდა საშემოსავლო თანხას და საჩივრის ავტორის პირად თანხას, რაც მას შპს-ს 40%-იანი წილიდან ეკუთვნოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი უ. ქ შეთანხმებული წილის გადაფორმებამდე იღებდა შპს-დან მიღებული მოგების 50%-ს. თავის მხრივ, თავისი მისაღები წილის 50% უ. ქ-ს უნდა გადაეფორმებია ბ. კ-თვის, რომელიც საჩივრის ავტორის მეგობარი და ადვოკატის ნათესავია.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას ასესხა 2000 (ორი ათასი) ლარი, რომელიც ესაჭიროებოდა ეკონომიკური საქმიანობისთვის, აღნიშნული თანხა ოთხ დღეში დაუბრუნა მას.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, დაახლოებით ორ კვირაში, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მოლარემ, ლ. ც-მ, მართლსაწინააღმდეგოდ გზით მიითვისა თანხა სალაროდან, რის შემდეგადაც ლ. ც-ს შეუთანხმდნენ, რომ მითვისებული თანხის სანაცვლოდ განაგრძობდა მუშაობას ვალუტის გადამცვლელ პუნქტში. ორი თვის შემდეგ, ლ. ც-მ კვლავ მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა თანხა.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, უ. ქ-მ მოთხოვა, რომ მოლარის მიერ მითვისებული თანხა ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო მის მიერ, რაზეც მან ადვოკატ უ. ქ-ს განუცხადა, რომ ადვოკატს არ შეუსრულებია მისი ფუნქციები, რაც ხელშეკრულების საფუძველზე იკისრა, აგრეთვე არ ჰქონდა რეგისტრირებული შპს–ს 50%–იანი წილი, შესაბამისად, მას არ ჰქონდა უფლება რომ მიეღო ანაზღაურება. გარკვეული დროის განმავლობაში ვალუტის გადამცვლელი პუნქტი არ ფუნქციონირებდა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი გაფრთხილების გარეშე ადვოკატმა უ. ქ-მ და ბ. კ-მ აამუშავეს ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, აღნიშნული ფაქტის შემდეგ, საჩივრის ავტორმა ადვოკატს განუმარტა, რომ მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, რის სანაცვლოდაც მას უნდა მიეღო შეთანხმებული ანაზღაურება.

1.12 ეთიკის კომისიისადმი საჩივრის ავტორის 2016 წლის 15 დეკემბრის განცხადების მიხედვით, ა. გ უარს ამბობს საჩივარზე. კერძოდ, მას არ აქვს პრეტენზია ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ, რადგან მას არ დაურღვევია რაიმე ვალდებულება და ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა უ. ქ-მ, ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2015 წლის 24 დეკემბერს, რომლის მიხედვით, მისი საადვოკატო მომსახურება საჩივრის ავტორთან დაიწყო და დასრულდა 2015 წლის 15 აგვისტოს, რომელიც იყო უსასყიდლო. ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 15 აგვისტოს შემდეგ მას არ განუხორციელებია არცერთი ქმედება, როგორც ა. გ-ს ადვოკატს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა ბ. კ-ს დახმარებით მიმართა მას იმ მიზნით, რომ პარტნიორთან კონფლიქტის მოგვარებაში დახმარებოდა. აღნიშნული შეთანხმება შედგა ზეპირი ფორმით. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიზანი არ იყო საადვოკატო მომსახურების მიღება, არამედ მას სურდა პარტნიორთან შეთანხმების მიღწევაში დახმარება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება საჩივრის ავტორის განცხადება იმის თაობაზე, რომ ის ემუქრებოდა სისხლის სამართლებრვი დევნის დაწყებით გ. ც-ს,

2.4 ადვოკატის განმარტებით, მისი მონაწილეობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შემოიფარგლა მხოლოდ შეთანხმების პირობების ჩამოყალიბებაში. საჩივრის ავტორის მოთხოვნები კი სრულად იქნა გათვალისწინებული შეთანხმებაში, თავის მხრივ კი საჩივრის ავტორმაც იკისრა ვალდებულებები, მათ შორის ის ვალდებულებაც, რომ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით არ გამოთქვამდა პრეტენზიას. ამავდროულად, ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორსა და გ. ც-ს შორის გაფორმებული შეთანხმების პირობების აღსრულება ან მეთვალყურეობა არ ყოფილა მისი ვალდებულება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, იმავე დღეს გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, ამდენად საჩივრის ავტორის განმარტება, რომ ზეპირი ხელშეკრულება დაიდო მათ შორის, არ შეესაბამება სინამდვილეს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა, პარტნიორთან შეთანხმების მიღწევის და მასთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მას შეთავაზა ბიზნესში თანხის ინვესტიცია, რის სანაცვლოდაც მიიღებდა შ.პ.ს-ს მოგების 50%–ს, რაზეც ადვოკატმა თანხმობა განაცხადა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საგანი იყო შ.პ.ს ----"-ის პარტნიორისათვის კონფლიქტური მდგომარეობის მოგვარება, რაც პარტნიორთა შეთანხმების შედეგად იქნა მიღწეული. ადვოკატის განმარტებით, კომპანიიდან მიღებული სარგებელი და წილი არაა დაკავშირებული მის საადვოკატო საქმიანობასთან.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლების გასამყარებლად, გ. ც-ს და ა. გ-ს წერილობითი შეთანხმების შემდეგ, საჩივრის ავტორთან წერილობით გააფორმა საადვოკატო მომსახურეობის ხელშეკრულება, რომელშიც საზღაურად აისახა შპს-ს წილი.

2.9 ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 15 აგვისტოს შემდეგ მისი განხორციელებული ყოველი ქმედება იყო როგორც, შპს-ს პარტნიორის და არა, როგორც ადვოკატის.

2.10 ადვოკატის განმარტებით, პარტნიორული ურთიერთობის შემდეგ, მას და საჩივრის ავტორს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, გ. ც-ს კუთვნილ 60%-იან წილს გადაიფორმებდა ადვოკატი, შემდეგი მიზეზით რომ, თუკი საჩივრის ავტორი მიიღებდა აღნიშნული წილს, მასზე გავრცელდებოდა ყადაღა. აღნიშნულ გარიგებაზე თანახმა იყო გ. ც. წილის გადაცემა ხდებოდა ინვესტიციის სანაცვლოდ, რაზეც არსებობდა საჩივრის ავტორის როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი თანხმობა.

2.11 ადვოკატის განმარტებით, საფუძველსაა მოკლებული ა. გ-ს საჩივარი და მითითება, რომ არ მიუღია საადვოკატო მომსახურეობა, ვინაიდან 2015 წლის 15 აგვისტოს სრულად დაკმაყოფილდა ა. გ-ს მოთხოვნები, რადგან საჩივრის ავტორსა და მის პარტნიორს შორის დავა მოგვარებული იყო.

2.12 ადვოკატის განცხადებით, მან საჩივრის ავტორს უსასყიდლოდ გაუწია საადვოკატო მომსახურება. ადვოკატის განმარტებით, მისი ინიციატივით, მასსა და საჩივრის ავტორს შორის ერთ ეგზემპლიარად გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების და მასში გასამრჯელოს მითითების მიზანს მხოლოდ ადვოკატის მიერ განხორციელებული ინვესტიციის ხელშეუხებლობის უზრუველყოფა წარმოადგენდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2016 წლის 26 იანვარს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა ადვოკატ უ. ქ-ს მიერ საადვოკატო მომსახურების შეუსრულებლობა, ადვოკატ უ. ქ-ს მიერ დაირღვეოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან, ადვოკატმა უ. ქ-მ საჩივრის ავტორთან განახორციელა საქმიანი გარიგება იმ საქმესთან დაკავშირებით, რაზეც საჩივრის ავტორს გაუწია საადვოკატო მომსახურება, სავარაუდოდ, დაირღვეოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოება:

ა. გმ 2016 წლის 15 დეკემბერს ეთიკის კომისიას მომართა ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით საქმეზე 091/15.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ა. გს 2016 წლის 15 დეკემბრის განცხადება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ (ს.ფ.63);

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 2016 წლის 15 დეკემბერს საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ ის უარს ამბობს საჩივარზე, მას არ აქვს პრეტენზია ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ, რომელსაც არ დაურღვევია რაიმე ვალდებულება მის მიმართ და ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

6.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ განმცხადებელი ან პირი, ვისი მომართვის საფუძველზეც დაიწყო დისციპლინური წარმოება, უარს იტყვის საჩივარზე". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხლვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №091/15 ადვოკატ უ. ქ-ს მიმართ /სიითი N/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/